ჯგუფური პროექტის გაფორმების წესი

ჯგუფური პროექტის მიზანი. ჯგუფური პროექტი წარმოადგენს სტუდენტთა ჯგუფის მიერ შესრულებულ სამუშაოს, რომელშიც უნდა აისახოს ჯგუფის თითოეული წევრის დარგობრივი ცოდნა და უნარ-ჩვევები.

სტუდენტებმა უნდა შეძლონ პროექტში დასმული პრობლემის გადაჭრის თეორიული და ტექნოლოგიური მეთოდების დამუშავება, მათ საფუძველზე დასმული პრობლემის გადაწყვეტა და განხორციელებული პროექტის შედეგის განხილვა.

სტრუქტურა

1. **თავფურცელი**

1) უნივერსიტეტის დასახელება;
2) თემის დასახელება;
3) პროექტის შემსრულებელ სტუდენტთა სია: სახელი და გვარი;
4) ფაკულტეტის დასახელება;
5) ხელმძღვანელის სახელი და გვარი აკადემიური ხარისხის მითითებით;
6) ქალაქი;
7) წელი.

2. **სარჩევი**

სარჩევი მოიცავს პროექტის ანოტაციის, ტექსტის, გამოყენებული ლიტერატურის და დანართების გვერდების ნომრებს;

3. **ანოტაცია**

ანოტაცია ასახავს ნაშრომის ძირითად მიზანსა და მოკლე შინაარსს. ანოტაცია უნდა იყოს წარმოდგენილი ქართულ და ინგლისურ ენებზე. ანოტაციის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 1 გვერდს.

4. **შესავალი**

შესავალი ასახავს თემის აქტუალობას, დასახულ მიზნებსა და ამოცანებს. შესავლის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 3 გვერდს.

5. **ტექსტის ძირითადი ნაწილი**

ტექსტის ძირითადი ნაწილი შეიძლება შედგებოდეს თავების, პარაგრაფების და ქვეპარაგრაფებისაგან.

ტექსტის ძირითად ნაწილში ასახული უნდა იყოს:

1) პროექტში დასმული პრობლემის აქტუალობა (მიმოხილვა) (არ უნდა აღემატებოდეს საერთო მოცულობის 1/3-ს).
2) პროექტში დასმული პრობლემის გადაჭრის თეორიული და ტექნოლოგიური მეთოდები;
3) განხორციელებული პროექტის შედეგის განხილვა.

ტექსტის ძირითადი ნაწილი აკრეფილი უნდა იყოს A4 ფორმატის სტანდარტული ფურცელზე; შრიფტი - sylfaen, შრიფტის ზომა - 11;

საილუსტრაციო მასალები შეიძლება ინტეგრირებული იყოს როგორც ტექსტის ძირითად ნაწილში ასევე მოწოდებულ იქნეს დანართების სახით.

6. **დასკვნა**
   დასკვნა ჯგუფური პროექტის შედეგების მოკლე ამსახველი ნაწილია. იგი მოკლედ უნდა პასუხობდეს ნაშრომში დასახულ მიზნებსა და ამოცანებს.

7. **გამოყენებული ლიტერატურა**
   ლიტერატურა წარმოდგენილი უნდა იყოს ანბანური თანმიმდევრობით. ჩამონათვალში ჯერ უნდა მიეთითოს გამოცემები ქართულ ენაზე, შემდეგ - უცხოურ ენებზე;

8. **დანართები**
   დანართში წარმოადგენილი უნდა იყოს პროექტის „კოდი“ დისკზე, მისი ინსტალაციის და ფუნქციონირების ინსტრუქციით და სხვა მასალა (არსებობის შემთხვევაში).

აკინძული ნაშრომი დაცვაზე წარმოდგენილი უნდა იყოს 1 ეგზემპლიარად, ხოლო ელექტრონული ვერსია აიტვირთოს სტუდენტური კონფერენციის ვებ გვერდზე.